



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის  
საპროგრამო საპარტნიორო სახელმწიფო  
მინისტრის აპარატი



# 2019 წელს

## ბუნებრივი რესურსების საქმიანობის ანგარიში

# შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2019 წელს ბანხორციელებული საქმიანობის ანგარიში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განსაზღვრავს, ახორციელებს და კოორდინაციას უწევს საქმიანობას ორი პრიორიტეტული მიმართულებით - 1) მიმდინარე ოკუპაციის შედეგად გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგება, ნდობის აღდგენა და ჩართულობის პოლიტიკის იმპლემენტაცია; 2) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული კონფლიქტის მოგვარების ცალსახად მშვიდობიანი, თანმიმდევრული და პრაგმატული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, შერიგებისთვის, ნდობის აღდგენისა და ჩართულობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ასევე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში და გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაზე ზრუნვა, მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და საქართველოს მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა სერვისების გაზიარება. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება 2018 წელს დამტკიცებული სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა, მათი სრულფასოვანი და ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფა ქვეყნის განვითარებაში, ასევე ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობა.

დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად, 2019 წელს წარიმართა ინტენსიური მუშაობა; შემუშავდა, ამოქმედდა და განხორციელდა მთელი რიგი ადამიანებზე ორიენტირებული ინიციატივები და პროგრამები.

## 1. შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა

### 1.1 სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელება

საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმდინარე ოკუპაციის და ფაქტობრივი ანექსიის, საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფის ფაქტების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევის და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის, მავთულხლართების აღმართვის, გამყოფი ხაზებზე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვების და სხვა გამოწვევების ფონზე, საქართველოს მთავრობა განაგრძობს კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან, თანმიმდევრულ და მტკიცე პოლიტიკას. ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მიუხედავად, გრძელდება ძალისხმევა კონფლიქტით დაშორიშორებული მოსახლეობის

შერიგების მიმართულებით, რასაც საფუძვლად უდევს მოსახლეობის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები, პრაგმატული ინტერესები და სწრაფვა განვითარებისკენ.

2019 წელს დაიწყო სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" აქტიური განხორციელება. ამისთვის, მთლიანად დასრულდა სამართლებრივი პროცესი - ყველა კანონქვემდებარე აქტი შესაბამისობაში მოვიდა პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონდებლო ცვლილებებთან. ჯამში, ცვლილება განხორციელდა 8 აქტში და მიღებულ იქნა 5 ახალი სამართლებრივი აქტი, რომლითაც ამოქმედდა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, როგორც არის პირადი ნომრით სტატუს-ნეიტრალური რეგისტრაცია, სპეციალური საწარმოს სტატუსის, საგადასახადო შეღავათების და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობისთვის სპეციალური თანხმობის მიღება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით, საპარტნიორო ფონდის მიერ მომზადდა სოფელ რუხში სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული კომერციასა და სერვისთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის აშენება/მოწყობის პროექტი.

2018 წლის 22 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ახალი უპრეცედენტო საგრანტო პროგრამა „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“, რომელიც გულისხმობს გამყოფი ხაზის გასწვრივ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას და ამ მიზნით, პირველად 25 წლის განმავლობაში, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ინდივიდუალური და ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერას 7,000-დან 35,000-მდე ლარის ფარგლებში. პროგრამის პირველი საგრანტო კონკურსი გამოცხადდა 2019 წლის 12 მარტს, რომლის ფარგლებშიც შემოვიდა განაცხადების უპრეცედენტო რაოდენობა - 368 განაცხადი, აქედან 274 განაცხადი (75%) უშუალოდ ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ნიშანდობლივია, რომ განაცხადები შემოვიდა არამხოლოდ გალისა და ახალგორის რაიონის, არამედ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივად ყველა რაიონიდან. საგრანტო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში (500,000 ლარი) უწყებათაშორისი კომისიის მიერ გამოვლინდა 20 გამარჯვებული პროექტი.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, 2019 წლის 12 აგვისტოს, სს „საპარტნიორო ფონდთან“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ერთად, შეიქმნა სამშვიდობო ინიციატივით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გათვალისწინებული მეორე ფინანსური ინსტრუმენტი, არა-კომერციული იურიდიული პირი - „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“. ფონდი მოემსახურება ინიციატივით გათვალისწინებულ ამოცანებს, მშვიდობის მშენებლობას, გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგს და ნდობის აღდგენას, საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობას და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამყოფი ხაზების გასწვრივ კონკრეტული სავაჭრო პროექტების/ინიციატივების განხორციელებას.

მშვიდობის ფონდის კონცეფციის შემუშავება მოხდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩართულ საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორებთან მჭიდრო თანამშრომლობით და გათვალისწინებულ იქნა მათი მხრიდან მიღებული რეკომენდაციები. საქმიანობის

განსახორციელებლად და გრანტების გასაცემად, მშვიდობის ფონდი მოიზიდავს საერთაშორისო დონორების დაფინანსებას, ხოლო პირველად ადმინისტრაციულ ხარჯებს უზრუნველყოფს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ნებისმიერ დონორ ორგანიზაციას თუ სახელმწიფოს, საკუთარი სურვილისამებრ, შეუძლია პროექტების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა. 2019 წლის 9 ოქტომბერს გაიმართა სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც მოხდა ფონდის პრეზენტაცია და მისი ფუნქციებისა და ამოცანების გაცნობა. USAID ფონდს გაუწევს ტექნიკურ დახმარებას. ფონდის ამოქმედება 2020 წლის გაზაფხულზე იგეგმება.

სამშვიდობო ინიციატივის საგანმანათლებლო მიმართულების ფარგლებში, ამოქმედდა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი უპრეცედენტო სკოლისშემდგომი მომზადების პროგრამა. პროგრამა გულისხმობს ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სპეციალური ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის გავლას თბილისსა და ზუგდიდში უფასო მოსამზადებელი ცენტრის ბაზაზე, უგამოცდოდ ჩაბარებას, უფასო მომზადებას მათთვის სპეციალურად შემუშავებული პროგრამით ათამდე შერჩევით საგანში, ასევე ყოველთვიურ სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით, საერთო საცხოვრებელი უზრუნველყოფას და ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, მხოლოდ შიდა სასკოლო ორი გამოცდით, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას, სადაც მათთვის გათვალისწინებულია 1%-იანი ქვოტა. პირველი საპილოტე, სამთვიანი პროგრამა დაიწყო 2019 წლის 18 აპრილს რომელშიც მონაწილეობა მიიღო 142-მა აბიტურიენტმა ოკუპირებული რეგიონებიდან. აქედან, 139-მა გამარტივებული წესით ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში. მომზადების პროგრამის მეორე ფაზა 2020 წლის თებერვალში ამოქმედდება.

საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესით შექმნილი სარგებელი თანაბრად ხელმისაწვდომი გახდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის. უვიზო რეჟიმით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში, 2019 წელს საგრძნობლად გავამარტივდა საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღების პროცედურები. მოქალაქეობის დადგენა ხდება ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე ერთი თვის ვადაში, უფასოდ. შესაძლებელია კიდევ უფრო დაჩქარებული პროცედურის გავლაც.

გარდა ამისა, სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მთავარი მიმართულება - ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ გულისხმობს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი/წარმოებული პროდუქციის გამყოფი ხაზების გავლით საგარეო ბაზრებზე წვდომას იმ უპირატესი საექსპორტო შესაძლებლობების გამოყენებით, რაც საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად. ეს უპირველესად მოიცავს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმს (DCFTA). ინიციატივის ამოქმედებისათვის საჭირო სამართლებრივი პროცესის სრულად დასრულების შედეგად, უკვე არსებობს მსგავსი სიკეთით სარგებლობისთვის საჭირო სამართლებრივი და პრაქტიკული შესაძლებლობები.

ხალხთა შორის კონტაქტების და გადაადგილების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების მიუხედავად, როგორც არის, მათ შორის, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვა, თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული უპრეცედენტო შეზღუდვები და უკანონო დაკავებები, სამშვიდობო ინიციატივამ გამოიწვია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მზარდი ინტერესი. მისი გასაჯაროების დღიდან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან საკუთარი ბიზნეს იდეების გასაცნობად არაერთი ადამიანი გამოვიდა კონტაქტზე, მათ შორის უშუალოდ სახელმწიფო მინისტრის აპარატთან. განხორციელდა რიგი შეხვედრები და არაფორმალური კომუნიკაცია. მზარდი ინტერესის დასტურია საგრანტო პროგრამაში „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“ შემოსული განაცხადების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობა, რაც ადასტურებს სამშვიდობო ინიციატივის დროულობას და სისწორეს.

## 1.2 თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან

2019 წელს გაგრძელდა აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებში. სახელმწიფო მინისტრის აპარატი ყველა შესაძლებლობას იყენებდა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, როგორც ჩართულობის პოლიტიკის მიმართულებით მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების, ისე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ადამიანის უფლებათა მძიმე მდგომარეობისა და ადგილზე ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმების შექმნის აუცილებლობის შესახებ. საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციისას, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ახალგაზრდის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტის დაკეტვის სავალალო შედეგებზე, რამაც მთელ რეგიონში ჰუმანიტარული კრიზისი წარმოქმნა. ამასთან, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაციები საქართველოს მოქალაქის, ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო ტყვეობიდან გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ფორმატების ფარგლებში, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხილვა და პარტნიორების მხრიდან ურყევი მხარდაჭერის დაფიქსირება. კერძოდ:

- 2019 წლის 5 მარტს ჩატარდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-5 სხდომა, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. ასოცირების საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა გამყოფ ხაზებზე ხალხთაშორისი კონტაქტებისა და ნდობის აღდგენისკენ მიმართული ზომების მზარდი მხარდაჭერის მნიშვნელობა. ასოცირების საბჭომ მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივისადმი „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“;
- 2019 წლის 28 მარტს გაიმართა ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის მე-8 სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული გამოწვევები და საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა. ევროპარლამენტარებმა მხარდაჭერა გამოხატეს საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივისადმი „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“;

- 2019 წლის 29 მარტს გაიმართა საქართველოსა და აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც თანა-თავმჯდომარეობს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. აშშ-მა კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მხარდაჭერა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჩართულობა და ხალხთაშორისი კონტაქტების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია მშვიდობისა და შერიგების მისაღწევად;
- 2019 წლის 23 მაისს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დიალოგის რიგით მე-12 შეხვედრა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ მძიმე ვითარებას. ერთობლივ განცხადებაში ევროკავშირის მხრიდან კიდევ ერთხელ დაფიქსირდა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მტკიცე მხარდაჭერა;
- 2019 წლის 18 ივნისს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის რიგით მე-5 შეხვედრა, სადაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა. ევროკავშირი მიესალმა საქართველოს სამშვიდობო ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ და გამოთქვა მზაობა ინიციატივის განხორციელების კუთხით თანამშრომლობისთვის;
- 2019 წლის 25 ოქტომბერს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიული დიალოგის რიგით მე-3 შეხვედრა, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი ასევე იყო საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობა. საუბარი შეეხო ევროკავშირის მიერ სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელების მხარდაჭერას.

გარდა ამისა, 2019 წელს სამშვიდობო ინიციატივის მხარდაჭერა დაფიქსირდა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში, აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ ერთობლივ დეკლარაციაში, საქართველოს მეგობართა ჯგუფის ერთობლივ განცხადებაში, ნატო-საქართველოს კომისიის განცხადებაში, ასევე ცალკეული სახელმწიფოების, მათი მეთაურებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა განცხადებებში.

### 1.3 ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები

საქართველოს მთავრობა აგრძელებდა კონსტრუქციულ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში. 2019 წელს გაიმართა ჟენევის მოლაპარაკებების 47-ე, 48-ე, 49-ე და 50-ე რაუნდი.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელმძღვანელობს მეორე ჰუმანიტარულ სამუშაო ჯგუფს, სადაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი და დღის წესრიგის უმთავრესი თემა არის იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება. აღნიშნული საკითხი არის ქართული მხარის და საერთაშორისო პარტნიორებისათვის

პრინციპული და პრიორიტეტული, რომლის არსებით განხილვას, სამწუხაროდ, მიზანმიმართულად ეშლება ხელი სხვა მონაწილეების მხრიდან.

ჰუმანიტარულ სამუშაო ჯგუფში დისკუსიების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ და ჰუმანიტარულ მდგომარეობას, კერძოდ ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დაკეტვას, გადაადგილების თავისუფლებისათვის დამატებითი შეზღუდვების დაწესებას, ადამიანთა უკანონო დაკავებების დაუშვებლობას, ასევე საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წვდომას, გალისა და ახალგორის რაიონში არსებულ მძიმე მდგომარეობას და ქართული მოსახლეობის მიმართ ცალსახად დისკრიმინაციული მიდგომების შეჩერების საჭიროებას, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების და სხვა ფუნდამენტური უფლებების უზრუნველყოფას.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა 2019 წლის 12 მარტს საქართველოს მოქალაქის ირაკლი კვარაცხელიას რუსულ ბაზაზე გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების თემაზე, 2018 წლის 22 თებერვალს ცხინვალში საქართველოს მოქალაქის, იბულებით გადაადგილებული პირის არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის, 2016 წლის 19 მაისს სოფელ ხურჩაში მომხდარი საქართველოს მოქალაქის გიგა ოთხოზორიას მკვლელის, ასევე 2014 წლის 4 ივნისს გაუჩინარებული დავით ბაშარულის მკვლელობაზე პასუხისმგებელი პირების დაუყოვნებლივ დაკავების და დასჯის საკითხებზე. გარდა ამისა, ქართული მხარე მთელი სიმწვავეით აყენებდა ახალგორის რაიონის მიმართულებით გადასასვლელის გახსნისა და ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხს.

ამასთან, მეორე ჰუმანიტარული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებზე გრძელდებოდა ისეთი თემების განხილვა როგორც არის არქივების საკითხებზე თანამშრომლობის, გარემოს დაცვის და სხვა ყველა ის საკითხი, რაც მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებებს უკავშირდება. აღნიშნული თემების ირგვლივ მიმდინარეობს მუშაობა და გარკვეული თანამშრომლობა, რაც ქართული მხარის კონსტრუქციული და ჰუმანიტარული მიდგომების პირობებში, ასევე საერთაშორისო პარტნიორების აქტიური მხარდაჭერით, გაგრძელდება და განვითარდება. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში, მოეწყო საინფორმაციო სესიები საზოგადოებრივი ჯანდაცვის თემაზე და სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალების ჩართულობის საკითხზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, 2019 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა. თუმცა ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული მდგომარეობა რჩება გალის და ახალგორის რაიონებში, სადაც ადგილი აქვს მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას.

2019 წლის 10 მარტს, აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო ხაზთან სიახლოვეს რუსეთის საოკუპაციო ძალებმა უკანონოდ დააკავეს საქართველოს მოქალაქე ირაკლი კვარაცხელია და გადაიყვანეს რუსეთის სამხედრო ბაზაზე სოფელ ნაბაკევში, სადაც მოგვიანებით იგი გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი იპოვნეს. ირაკლი კვარაცხელიას გარდაცვალებაზე

პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება რუსეთის ფედერაციას, როგორც რეგიონზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ძალას. აღნიშნული შემზარავი შემთხვევა კიდევ ერთხელ მიუთითებს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ უმძიმეს მდგომარეობასა და საერთაშორისო მონიტორინგის აუცილებლობაზე. ამ ჭრილში მნიშვნელოვანი საკითხია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მისიების და მექანიზმების ამოქმედება, რაც ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მნიშვნელოვანი თემაა.

2019 წელს საოკუპაციო ძალებმა დააწესეს უპრეცედენტო შეზღუდვები თავისუფალ გადაადგილებაზე, მათ შორის დარჩენილი ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ხანგრძლივი პერიოდით დაკეტვის გზით, რაც ორივე რეგიონის სრულ იზოლაციას ისახავს მიზნად. წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საოკუპაციო ხაზის ჩაკეტვის რამდენიმე ხანგრძლივ ეპიზოდს, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობას შეეზღუდა წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე და სხვა სერვისებზე. სწორედ ამის გამო, ზაფხულში, ნაწილმა სკოლადამთავრებულებმა ვერ შეძლეს აფხაზეთის რეგიონიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება.

განსაკუთრებულ შემფოთებას და წუხილს იწვევს ახალგორის რაიონში შექმნილი მდგომარეობა, სადაც ერთადერთი ე.წ. გადასასვლელი პუნქტი 4 სექტემბერს განუსაზღვრელი ვადით დაიკეტა. აღნიშნულმა უკანონო ქმედებამ მთელი რეგიონი ჰუმანიტარულ კრიზისამდე მიიყვანა, რაც სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების, საკვებისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების უკმარისობაში გამოიხატება. ადგილობრივი მოსახლეობა ფაქტობრივად საოკუპაციო ძალის მძევლად არის აყვანილი, რასაც შედეგად ადამიანური ტრაგედიაც მოჰყვა. კერძოდ, 28 ოქტომბერს, სოფ. იკოთის მკვიდრს მარგო მარტიაშვილს, ინსულტის დიაგნოზით, საოკუპაციო ხაზის გადმოკვეთის საშუალება არ მისცეს და სანაცვლოდ, ცხინვალის საავადმყოფოში გადაამისამართეს; სასწრაფო სამედიცინო დახმარების არმიღების გამო ქალბატონი გარდაიცვალა. მეორე უმძიმესი შემთხვევა ეხება 67 წლის თამარ გიგაურს, რომელიც 3 ნოემბერს ჭაში ჩავარდა და სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო. საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო პარტნიორების არაერთი მცდელობის მიუხედავად, საოკუპაციო ძალებმა თამარ გიგაურს გადმოსვლის შესაძლებლობა არ მისცეს, რამაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. ეს და სხვა შემთხვევები ნათლად ადასტურებს, რომ საოკუპაციო ძალა მუდმივად ახდენს ჰუმანიტარული საკითხების პოლიტიზებას და მშვიდობიან მოსახლეობას საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს.

ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვასთან ერთად, ადგილი ჰქონდა ცხინვალის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის უკანონო ფაქტებს, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილება და საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე წვდომა.

გრძელდებოდა ადამიანთა უკანონო დაკავებების პრაქტიკა ე.წ. „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ გამო. 2019 წელს ცხინვალის მიმართულებით დაკავებული იქნა 86, ხოლო აფხაზეთის მიმართულებით - 26 ადამიანი. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფსბ-ის ოფიციალური



სტატისტიკის მიხედვით, ცხინვალის რეგიონიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადმოსვლისას დაკავებულთა რაოდენობა 6-ჯერ აღემატებოდა იმ პირთა რაოდენობას, რომელთა დაკავებაც ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის ბრალდებით მოხდა. ეს თვალნათლივ ადასტურებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის დანარჩენ საქართველოში გადაადგილების მაღალ ინტერესს და საჭიროებას.

9 ნოემბერს, საოკუპაციო ძალებმა უკანონოდ დააკავეს საქართველოს მოქალაქე, ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, რომელსაც 40-დღიანი ე.წ. წინასწარი პატიმრობის შემდეგ ახალგორის ე.წ. რაიონულმა სასამართლომ ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით მაქსიმალური სასჯელი - 1 წელი და 9 თვე მიუსაჯა. ვაჟა გაფრინდაშვილის უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება 28 დეკემბერს, საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად მოხდა.

მძიმე მდგომარეობაა ასევე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების კუთხით. 2019-2020 სასწავლო წელს გალის რაიონის სკოლებში 1-8 კლასის ჩათლით სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობს. შესაბამისად, ქართული ენის შესწავლა დაიშვება მხოლოდ მე-9 კლასიდან. ამ კლასებშიც მშობლიურ ქართულ ენასა და ლიტერატურას საკმაოდ მცირე დრო ეთმობა - 2 საათი (1 -ენა, 1- ლიტერატურა). კვლავ კატეგორიულად იკრძალება ქართული სახელმძღვანელოებით სწავლება.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვა ასევე გრძელდება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში. ახალგორის რაიონის ქართული სკოლები (1 – 5 კლასები) გადაყვანილია რუსული სწავლების პროგრამაზე, ხოლო ქართული, როგორც უცხო ენა, შეზღუდულად ისწავლება მე-6 კლასიდან.

ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონში გრძელდება ეთნიკური ქართველების „უცხო ქვეყნის მოქალაქეებად“ რეგისტრაციის პროცესი. მოსახლეობა იძულებულია აიღოს „ბინადრობის მოწმობა“, რომელიც მათ უუფლებო მდგომარეობაში აყენებს. დე ფაქტო ხელისუფლება გალის რაიონის მოსახლეობას კვლავ აიძულებს ქართული გვარების შეცვლას აფხაზურით, რითიც ცდილობს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული კვალისა და იდენტობის წაშლას.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, მომხდარი ინციდენტები, ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავება, მავთულხლართებისა და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერების აღმართის პროცესი, ასევე სხვა უკანონო ქმედებები ასევე იხილებოდა ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრების ფარგლებში, რომლებშიც ჩართულია სახელმწიფო მინისტრის აპარატი. სამწუხაროდ, საოკუპაციო რეჟიმის არაკონსტრუქციული მიდგომის გამო, შეხვედრები გალში შეწყვეტილია 2018 წლის ივნისიდან. 2019 წელს ერგნეთში გაიმართა IPRM-ის 5 შეხვედრა, ხოლო 28 აგვისტოდან, საოკუპაციო რეჟიმის მორიგი არაკონსტრუქციული მიდგომის გამო, ერგნეთის IPRM მხოლოდ ტექნიკური შეხვედრების ფორმატის ფარგლებში იმართებოდა.

#### 1.4 შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ხვედრის გარკვევა

აქტიურად გაგრძელდა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ბედისა და ადგილსამყოფლის დადგენასთან დაკავშირებული საქმიანობა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 170-მდე გენეტიკური საექსპერტო მომსახურება, კერძოდ 1992-1993 წლებში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახის წევრებისა და ბიოლოგიური ნათესავების ბიოლოგიური ნიმუშების გენეტიკური გამოკვლევა-პროფილირება.

დაიგემა და განხორციელდა 75 უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის 209 პოტენციურ დონორთან დაკავშირება/ვიზიტი. მიმდინარეობს მათი ბიოლოგიური ნიმუშების პროფილირება.

დაფიქსირდა 40-მდე ახალი მომართვა შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგული ოჯახის წევრის მოძიებასთან დაკავშირებით.

შეიქმნა შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისია, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის დადგენის პროგრამის ეფექტურობის გაზრდას, პროცესში ჩართულ უწყებებს შორის მეტ კოორდინაციასა და არსებული მონაცემების ცენტრალიზებას შეუწყობს ხელს.

საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებულ იქნა და ოჯახებს გადაეცა 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგული 12 პირის ნეშტი. განხორციელდა ამოცნობილი პირების გადმოსვენება, მათი ოჯახის წევრების ინფორმირება და მათთან შეთანხმებით ნეშტების გადაცემის, სამოქალაქო პანაშვიდის და სამხედრო პატივით დაკრძალვის ცერემონიალის დაგეგმვა, დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის კოორდინირება. იდენტიფიცირებულ პირთა ნაწილი, ოჯახების სურვილით და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, გადასვენებულ და დაკრძალულ იქნა სხვადასხვა რეგიონებში. სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, იდენტიფიცირებულ პირთა ოჯახებს გაეწიათ ფინანსური დახმარება.

სტამბოლში გაიმართა 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებული ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის მეცამეტე და სამედიცინო-ანთროპოლოგიური ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის მეთხუთმეტე შეხვედრა. შეხვედრებს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მისი ნეიტრალური შუამავლის სტატუსის შესაბამისად თავმჯდომარეობდა და გარდა წინა შეხვედრების შემდგომ მიღწეული პროგრესისა, განხილულ იქნა კონკრეტული სამომავლო ნაბიჯები.

მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა 16-18 ოქტომბერს, ნიქოზიაში, მონაწილეობა მიიღეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში - „უგზო-

უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებული მექანიზმები- დაკარგულთა ბედის გარკვევა და მათი ოჯახების მხარდაჭერა".

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორგანიზებით, ჩატარდა უწყებათაშორისი შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის გარკვევის მიმართულებით სხვადასხვა უწყებების მონაწილეობით განხორციელებული საქმიანობა, ძირითადი გამოწვევები და სამომავლო გეგმები.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვედრა გაიმართა უკრაინის წარმომადგენელთან ჰუმანიტარულ საკითხებზე სამმხრივ საკონტაქტო ჯგუფში. არაერთი შეხვედრა გაიმართა უცხოელ ექსპერტებთან, რომლებიც საქართველოს 1990-იანი წლებისა და 2008 წლის შეარღვეებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების პროცესის გასაცნობად სტუმრობდნენ.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სამარხების მოძიების და არსებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით შეხვედრები გაიმართა ბათუმსა და ზუგდიდში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობით დაიგეგმა და აღინიშნა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე 5 ქალაქში (თბილისი, გორი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი).

შეთანხმდა და გაიხსნა 50-მდე სამარხი, როგორც ამჟამად ოკუპირებულ, ისე კონტროლირებად ტერიტორიაზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, სამტრედიაში კომახურის სასაფლაოზე არსებული სამარხი გაიხსნა, საიდანაც 3 ნეშტის ექსპუნირება განხორციელდა.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 33-ე საერთაშორისო კონფერენციაზე სახელმწიფომ, საკოორდინაციო მექანიზმების ფარგლებში, შეარღვეებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის გარკვევის ნებაყოფლობითი ვალდებულება აიღო.

## 1.5 ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

### 1.5.1 ჯანდაცვა

საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ გრძელდებოდა „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ ეფექტური ფუნქციონირება, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრებ პირებს ჯანდაცვის მომსახურებას უფასოდ აწვდის. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც კვეთენ საოკუპაციო ხაზს, შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულფასოვანი, საჭიროებაზე მორგებული სამედიცინო მომსახურება საქართველოს კონტროლირებად

ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში. 2019 წელს რეფერალური პროგრამის მომსახურებით სარგებლობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შუამდგომლობა გაეწია ოკუპირებული რეგიონების 1481 მოსახლეს. მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობა ასევე მუშაობს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით და დახმარებას უწევს ადგილობრივ სამედიცინო პუნქტებს.

საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, რომელიც აგრძელებდა ეფექტურად მუშაობას ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო ვაქცინების მიწოდებას. საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის რეგიონს გადაეცა იმუნოზაციის, წითელას და ანტი-რაბიული ვაქცინები, დიაბეტის, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები, რომელთა ღირებულებამ მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრები პირები აგრძელებენ C ჰეპატიტის აღმოფხვრის პროგრამაში ჩართვას და სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღებას. განიხილება აღნიშნული პროგრამის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა დაახლოებით 7 მილიონი ლარი.

### 1.5.2 განათლება

სამშვიდობო ინიციატივით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გათვალისწინებული და ამოქმედებული სკოლისშემდგომი მოსამზადებელი ცენტრის გარდა, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა ე.წ. „1+4“ პროგრამის განხორციელებას, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათ შორის აფხაზებსა და ოსებს, გამარტივებული პროცედურებით ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარების გზით, რასაც თან ერთვის ქართულ ენაზე მოსამზადებელი ერთწლიანი კურსი, ხოლო შემდეგ ოთხწლიანი საბაკალავრო პროგრამა სტუდენტის მიერ შერჩეულ ფაკულტეტზე. „1+4“ პროგრამის ფარგლებში სწავლა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. 2019 წელს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან „1+4“ პროგრამით ექვსი ახალგაზრდა ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა ახალგაზრდების უპრეცედენტოდ დიდი რიცხვი. მოსამზადებელი პროგრამის და „1+4“ პროგრამის გარდა, უმაღლეს სასწავლებლებში მოხვდა ეროვნულ გამოცდებზე გასული ყველა 91 აბიტურიენტი. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ საოკუპაციო ხაზზე დაწესებული შეზღუდვების გამო, აფხაზეთის რეგიონიდან აბიტურიენტებმა ფიზიკურად ვერ შეძლეს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა და გამოცდებში მონაწილეობა, მთავრობის უპრეცედენტო გადაწყვეტილებით, უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ იქნა ჩარიცხული ერთიან ეროვნულ გამოცდებში რეგისტრირებული დამატებით 112 აბიტურიენტი.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა ინარჩუნებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების სტატუს-ნეიტრალური პროცედურას, რომელიც გულისხმობს უმაღლესი განათლების აღიარებას საქართველოს მოქალაქეობის აღების, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლისა და მოწმეების წარმოდგენის საჭიროების გარეშე, მათ შორის საჭიროებისამებრ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ჩართულობით.

### 1.5.3 სოფლის მეურნეობა

საკოორდინაციო მექანიზმის მეშვეობით, აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად მიეწოდება მცენარეთა და ცხოველთა დაცვის სხვადასხვა საშუალებები. 2019 წელს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით, აფხაზეთის რეგიონს გადაეცა ვეტერინარული ვაქცინები და აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის შესაწამლი ტექნიკა, ფერომონები, სპეციალური აღჭურვილობა და საჭირო პესტიციდები, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 600,000 ლარი.

### 1.5.4 კომუნიკაცია და ნდობის აღდგენა

საქართველოს მთავრობა აქტიურად აგრძელებს დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის, ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების და სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერას. მზარდი კონტაქტებისა და მიმოსვლის ფონზე, განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელება. სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად უჭერს მხარს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების ჩართულობას და მათ მიერ ჰუმანიტარული დახმარებისა და ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებას. ყველა საერთაშორისო პარტნიორის მიმართ, როგორც სხვადასხვა ფორმატებში, ისე ორმხრივი შეხვედრების დროს, მთავარი გზავნილი არის ნდობის აღდგენის კუთხით ძალისხმევის გაორმაგება და განხორციელებულ პროექტებში ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსური შეხვედრების კომპონენტის გაზრდა, რაც ხელოვნურად გაყოფილი ადამიანების დაახლოების და ხელოვნურად შენარჩუნებული გაუცხოების დამლევის საფუძველია.

ამ მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აწარმოებს რეგულარულ დიალოგს და შეხვედრებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. 2019 წლის 23 ივლისს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეხვედრა გამართა აფხაზეთის რეგიონში Abkhazia Strategic Partnership (ASP) ფარგლებში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სადაც განიხილებოდა აღნიშნული ორგანიზაციების ერთწლიანი საქმიანობა, მიმდინარე პროექტები, არსებული გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები.

2019 წელს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით დაფინანსდა და დაიწყო ახალი 64 პროექტი. ნდობის აღდგენის

პროექტები მოიცავს სხვადასხვა პროფესიული წრეების წარმომადგენლებს - ექიმებს, მასწავლებლებს, არაერთი დარგის ექსპერტებს, ქალებს, ახალგაზრდებს, უფლებადამცველებს და ა.შ. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, ერთობლივად მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სასწავლო ვიზიტებში, შეხვედრებში, ტრენინგებსა თუ სემინარებში, ან თუნდაც იმუშაონ საერთო პროდუქტის შესაქმნელად. ეს ხელს უწყობს ადამიანთა შორის კონტაქტების დამყარებას, კონფლიქტის შედეგად წარმოშობილი, თუ ხელოვნურად, პროპაგანდის შედეგად გაღვივებული სტერეოტიპების და გაუცხოების დაძლევას.

ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატი იყენებს ყველა შესაძლებლობას აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან უშუალო კომუნიკაციის განხორციელებისთვის და აქტიურად მუშაობს დიალოგისა და ნდობის აღდგენის ახალი შესაძლებლობების შექმნისათვის. სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები აგრძელებენ მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების სხვადასხვა პროექტებში, რომელთა მიზანს წარმოადგენს კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენა და თემატური დიალოგი. 2018-2019 წლების განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა უშუალოდ მონაწილეობა მიიღეს 31 ნდობის აღდგენის შეხვედრაში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით და საკოორდინაციო მექანიზმის ჩართულობით, 2019 წელს ევროპის საბჭომ განახორციელა შემდეგი ორმხრივი ნდობის აღდგენის პროექტები:

- ქართველი და აფხაზი განათლების სპეციალისტების სასწავლო ვიზიტი უელსში, იშვიათი ენების დაცვისა და ბილინგვური სწავლების მეთოდების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
- ქართველი და აფხაზი საარქივო მასალების ექსპერტთა შეხვედრები პარიზში და რომში, ერთობლივი პუბლიკაციების მომზადების მიზნით;
- ქართველი და აფხაზი ექიმების (ფთიზიატრია) შეხვედრები პარიზში და ფრანგი ექიმების ვიზიტი საქართველოში, მათ შორის აფხაზეთის რეგიონში;
- ქართველი და აფხაზი ექიმების შეხვედრები ნიდერლანდებში და ისრაელში ნარკოტიკული დამოკიდებულის პრევენციისა და მკურნალობის საკითხებზე;
- აფხაზური ენის ქართველი და აფხაზი სპეციალისტების შეხვედრები სტამბოლში, შემდგომი თანამშრომლობის განსაზღვრის მიზნით;
- ქართველი და აფხაზი ფსიქოლოგების ტრენინგი სტამბოლში, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის დახმარების მეთოდების საკითხზე;
- ქართველი და აფხაზი ჟურნალისტების ტრენინგი სტამბოლში ქალთა მიმართ ძალადობის თემების გაშუქების საკითხებზე.

### **1.6 საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება**

საოკუპაციო ძალის უკანონო ქმედებები, უპირველეს ყოვლისა გამოყოფი ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის პროცესი, სავალალოდ აისახება არამხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე, არამედ

საოკუპაციო ხაზების მიმდებარე სოფლების ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე. შესაბამისად, მთავრობისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობაზე ზრუნვა და მათ პირველად საჭიროებებზე რეაგირება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება 2013 წელს დაარსებული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, რომელსაც თანა-თავმჯდომარეობს სახელმწიფო მინისტრი.

2019 წელს გამყოფი ხაზის მიმდებარე 114 სოფელში დაფინანსდა 160 პროექტი (გზების, ხიდების, გარე განათების, წყლის სისტემების, სარწყავი და სანიაღვრე არხების, სასაფლაოების, სკვერების, მოსაცდელელების, საბავშვო ბაღების, თავშეყრის ადგილების, სარიტუალო სახლების, ადმინისტრაციული შენობების, ამბულატორიების და წისქვილების მოწყობა-რეაბილიტაციის; შენობებისა და ტერიტორიების კეთილმოწყობის პროექტები).

განხორციელდა და მიმდინარეობს ონის, ზუგდიდის, გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის 9 პროექტი, ასევე საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევეში ხიდების მოწყობის პროექტი.

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაკესა და პანტიანში, მიმდინარეობს სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.

2019 წელს დაფინანსდა საექიმო ამბულატორიების მშენებლობის პროექტები ონის, ზუგდიდის, მესტიის, წალენჯიხის, დუშეთის და ქარელის მუნიციპალიტეტებში გამყოფი ხაზის მიმდებარე 9 ადმინისტრაციულ ერთეულში.

გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეჯვრისხევში, დაფინანსდა სარწყავი არხის კალაპოტის წმენდისა და სოფელ ხურვალეთში ნაპირსამაგრის მოწყობის პროექტები.

აღსანიშნავია, რომ სკოლების შენობების რეაბილიტაციის მიზნით ამ ეტაპზე დაფინანსებულია ხაშურის, ქარელის, გორის, საჩხერისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის მიმდებარე 14 სოფელში სკოლების შენობების რეაბილიტაციის 16 პროექტი.

2019 წელს დაფინანსდა საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევეში სარიტუალო დარბაზიდან ბლოკპოსტისკენ საავტომობილო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობისა და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხვითის გზის რეაბილიტაციის (სოფლის ცენტრიდან ზ. ხვითის მიმართულებით მისასვლელი გზა) პროექტი.

2019 წლის დასაწყისში დასრულდა კასპის, ქარელის და გორის მუნიციპალიტეტებში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ჭაბურღილების მოწყობა და მიმდინარე წლის მათში დაიწყო წყალმომარაგების სისტემის მეორე ეტაპის სამუშაოები. პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი დასრულების შემდეგ 21 სოფლის 16 ათასამდე მოსახლე 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა გამყოფ ხაზთან მცხოვრები ახალგაზრდა პირების განათლების მხარდაჭერა. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, 2018-2019 სასწავლო წლის საფასური დაუფინანსდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ 1,635 სტუდენტს. სოციალური პროგრამის ფარგლებში დამატებით დაფინანსდნენ სტუდენტები (938 სტუდენტი).

ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური დახმარება გაეწია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში თითოეულ ოჯახს და 200 ლარიანი ვაუჩერი 2019 წელს მიიღო 13,042 ოჯახმა.

2019 წლის 19 სექტემბერს გაიმართა „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია, რომელიც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ახალი საწარმოების დაფინანსებასა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზეა ორიენტირებული. პროექტს „საპარტნიორო ფონდის“ შვილობილი კომპანია „სტარტაპ საქართველო“ ახორციელებს. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), პროექტის „ახალი საწარმოები გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში“ ფარგლებში, გრანტის სახით გამოყოფილი აქვს 500,000 აშშ დოლარი, რომლითაც „სტარტაპ საქართველოს“ გამარჯვებულები დაფინანსდებიან.

## 1.7 ქალების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ქალთა როლს და მათი პოტენციალის გამოყენებას სამშვიდობო პროცესებში, აგრძელებს ნდობის მშენებლობასა და შერიგების პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობას და აქტიურად არის ჩართული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ შესრულების პროცესში.

2019 წელს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელებისათვის 2018-2020 წლების ეროვნული სამთავრობო გეგმის ფარგლებში, 24 აპრილს გორში, 20 ივნისს ფახულანში, ხოლო 21 ივნისს ხურჩაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კონფლიქტით დაზარალებული თემის წარმომადგენლებთან ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს გამყოფ ხაზებთან არსებულ გამოწვევებზე, მათ შორის გადაადგილების თავისუფლებისა და სხვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის ფაქტებზე, სასმელი და სარწყავი წყლის უზრუნველყოფის საკითხებზე, ცხელი ხაზის ფუნქციონირებაზე, ასევე ახალ სამშვიდობო ინიციატივაზე „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“.

20 მაისს ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეგულარული დიალოგის ფარგლებში, ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კონფლიქტებისა და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ასევე კონფლიქტებისა და უსაფრთხოების საკითხებზე



მომუშავე ექპერტების ჩართულობით. შეხვედრაზე განხილულ იქნა აღნიშნულ ფორმატში არსებული ორი სამუშაო ჯგუფის მუშაობა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

ზემოაღნიშნული გეგმის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში ჩატარდა 5 საკონსულტაციო შეხვედრა გამყოფ ხაზთან მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან სოფელ ჯვარში, ქვემო კოშკაში, ქვემო ჭალაში, ატოცში და ზუგდიდში. საკონსულტაციო შეხვედრების მიზანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროების, ტრეფიკინგის საკითხებზე, ასევე სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

20 ივნისს სოფ. ჯვარში გამყოფ ხაზთან მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარდა საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

23 ოქტომბერს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე სექსუალური შევიწროების, ტრეფიკინგის და სახელმწიფო სერვისების შესახებ, სოფ. კოშკში საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან, სადაც მონაწილეობა მიიღეს ასევე ზარდიაანთკარის და გუგუთიანთკარში მცხოვრებმა აქტიურმა ქალებმა.

2019 წელს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელებისათვის, 2018-2020 წლების ეროვნული სამთავრობო გეგმის ფარგლებში, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, დაიგეგმა პროექტი „სასწავლო კურსი - როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ ბიზნესი“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გამძლიერების მიზნით.

2019 წლის განმავლობაში რეგულარულად იმართებოდა სახელმწიფო მინისტრის და აპარატის თანამშრომლების შეხვედრები ქალთა და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

## 2. სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია

საქართველოს მოსახლეობის 13.2% (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარდა) შეადგენენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები.<sup>1</sup>

საუკუნეების განმავლობაში საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები ეთნიკურ ქართველებთან ერთად თანაცხოვრობდნენ და თავისი წვლილი შექონდათ ქვეყნის აღმშენებლობასა და განვითარებაში. საქართველო არის საუკეთესო მაგალითი ტოლერანტობის გამოხატულების, სხვადასხვა კულტურის

<sup>1</sup> 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

მატარებელი ხალხების მეგობრული ურთიერთობების. აღნიშნული ტრადიციები გრძელდება სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც ეფუძნება თანასწორობის იდეას და „*მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია*“ მიდგომას. ამ პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

სახელმწიფო სტრატეგია მიმართულია ერთი მხრივ, საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი თითოეული მოქალაქის თანასწორი, სრულფასოვანი და ღირსეული მონაწილეობის გაუმჯობესებისკენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განურჩევლად მისი ეთნიკური წარმომავლობისა; მეორე მხრივ კი, მათი კულტურული იდენტობის დაცვისა და თანასწორი გარემოს განმტკიცების ხელშეწყობისკენ. საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს ქვეყნის სტაბილური, დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას.

2019 წელს გაგრძელდა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ იმპლემენტაცია. დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი პროგრამა, პროექტი და ღონისძიება, რაც მიმართული იყო სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისკენ, კერძოდ:

- ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

საანგარიშო წელი გამორჩეული იყო განხორციელებული პროგრამებისა და კონკრეტული ღონისძიებების შინაარსით და რაოდენობით. მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული გამოწვევებისა, წლების განმავლობაში მიზანმიმართულმა და თანამიმდევრულმა პოლიტიკამ ხელშესახები შედეგები უკვე მოიტანა: - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები უკვე კარგად ფლობენ სახელმწიფო ენას, მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში; - ამოქმედებულია სპეციალურად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის შემუშავებული პროგრამები: უმაღლესი და პროფესიული განათლების, საჯარო სამსახურში სტაჟირების, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები; - ინტენსიურად მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი კარდაკარ საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიები სახელმწიფო სერვისებისა და სხვადასხვა აქტუალური საკითხების/პროცესების შესახებ. ასევე, დაინერგა რიგი ინიციატივები, რაც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში ჩართულობის გაზრდას, მათ სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს კულტურული მრავალფეროვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას.

მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები, რომელიც უკავშირდება არაქართულენოვანი მოსახლეობის სახელმწიფო ენის ცოდნას, განათლების

ხარისხს, სამოქალაქო აქტიურობას, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ გამოწვევების საპასუხოდ აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი აქტივობების განხორციელება.

## 2.1 სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინტეგრაციის ყველაზე ეფექტური მექანიზმი სახელმწიფო ენის ცოდნა და მაღალი ხარისხის განათლებაა. სრულფასოვანი ინტეგრაციის მისაღწევად პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად რჩება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას ჯერ კიდევ წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე. შესაბამისად, პრიორიტეტად რჩება განათლების თითოეულ საფეხურზე იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას. ამ მიმართულებით მიმდინარე პოლიტიკას, როგორც მეთოდოლოგიურად, ისე აქტორების ჩართულობის კუთხით კომპლექსური ხასიათი აქვს. ამასთანავე, ფართოვდება ბენეფიციარების სეგმენტი და თუ აქამდე, ქართული ენის სახელმწიფო სასწავლო პროგრამები მხოლოდ სკოლის მოსწავლეებზე და საჯარო მოხელეებზე იყო მიმართული, დღეს უკვე, ქართული ენის სწავლების პროგრამები და კურსები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის არის ხელმისაწვდომი. პროგრამებში ჩართვის საშუალება აქვს ნებისმიერი სეგმენტის წარმომადგენელს, ნებისმიერ მსურველს. 2019 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში ქართული ენის შემსწავლელი კურსები დაინერგა მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში სასულიერო პირებისთვის (მათივე მოთხოვნის საფუძველზე), რამაც უდიდესი ეფექტი მოახდინა ადგილობრივი მოსახლეობის მოტივაციაზე.

წლიდან წლამდე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში ქართული ენის ცოდნის დონე უმჯობესდება. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების ქართული ენის ცენტრების ინტენსიური საქმიანობის შედეგია, რომ 2019 წელს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი, სწავლა დაასრულა 2018 წელს ჩარიცხულმა (84 ჯგუფი) ეთნიკური უმცირესობის 1342-მა და 2019 წელს ჩარიცხულმა (162 ჯგუფი) 2206-მა წარმომადგენელმა. დაკომპლექტდა 276 სასწავლო ჯგუფი, მათგან 207 მობილური ჯგუფი შედგა 4 ქალაქში, 66 სოფელსა და 7 სამხედრო ბაზაზე. სულ ეთნიკური უმცირესობის 3545 წარმომადგენელი ჩაირიცხა.

2019 წელს შეიარაღებულ ძალებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში მომსახურე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის საველე-საწვრთნელ ბაზებზე გაგრძელდა ქართული ენის პროგრამის კურსის განხორციელება, რომელიც 2018 წელს დაინერგა. 2019 წელს ალგეთის, ვაზიანის, ოსიურისა და ხცისის სამხედრო ბაზებზე ენის ფლობის A1 დონის პროგრამით ისარგებლა 241-მა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა რეკრუტმა. (2018-2019 წწ. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 555-მა ჯარისკაცმა).

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განაგრძო მჭიდრო თანამშრომლობა ყველა იმ აქტორთან, ვინც ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლების მიმართულებით პროგრამებს. მიმდინარე წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, ზურაბ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლას, სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკას შორის ხელი მოეწერა ოთხმხრივი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით სასწავლო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროექტების განხორციელებაა.

## 2.2 ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

2019 წელს გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამის განხორციელება, რაც ხელს უწყობს არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას, თანამედროვე სასწავლო მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, ქართული ენის სწავლებას. დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებს 300-მდე არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და სექტორი, (სკოლების საერთო რაოდენობის 14%).

უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის მიზნით უკვე 9 წელია წარმატებით მოქმედებს „ქართულ ენაში მომზადების ერთ წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელიც არის უნიკალური და გამარტივებული გზა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. ამ პროგრამაზე ჩარიცხვა, რომელიც „1+4“-ის სახელით არის საზოგადოებაში ცნობილი, ხორციელდება ერთი მშობლიურენოვანი ტესტის საფუძველზე - ზოგადი უნარები აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი აბიტურიენტებისთვის და მშობლიური ენის ტესტი აფხაზური და ოსურენოვანი აბიტურიენტებისთვის. აღნიშნულმა მიდგომამ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს გზა გაუხსნა უმაღლესი განათლების მისაღებად. 2019 წელს „1+4“-ზე 1335 აბიტურიენტი ჩაირიცხა, მათ შორის:

- ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 893
- ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე- 436
- ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი ტესტის საფუძველზე- 1
- ზოგადი უნარების ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე-5

შესაბამისად, სტუდენტების რაოდენობა თითქმის 6-ჯერ გაიზარდა. (2010 წელს -247 აბიტურიენტი, ხოლო 2019 წელს -1335).

პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში, სადაც 2019 წლის მონაცემებით განაცხადი წარადგინა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა 26-მა აბიტურიენტმა. 2019-2020 სასწავლო წლისთვის, აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩაირიცხა 11 მსმენელი, აქედან, 6 აზერბაიჯანულენოვანი, 5 კი - სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს 2015 წლიდან აქვთ შესაძლებლობა სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე გაიარონ პროფესიული ტესტირება და სახელმწიფო

დაფინანსებით ჩაირიცხონ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ჩაირიცხვის შემდეგ, პროფესიის დაუფლებამდე ისინი სწავლობენ ქართული ენის მოდულს. არაქართულენოვანი ტესტირების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2019 წლის საგაზაფხულო მიღების ფარგლებში 90-მა პირმა გამოთქვა სურვილი პროფესიული ტესტირება გაიაროს სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე, რომელთაგანაც 24 პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში და ჩაერთო ქართული ენის მოდულის სწავლებაში. ხოლო 2019 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში ზემოხსენებულ ენებზე ტესტის გავლის მიზნით დარეგისტრირდა 122 პირი, საიდანაც ჩაირიცხა 52.

ამასთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ახალქალაქისა (პროექტირება) და მარნეულის (მშენებლობის დაწყების პროცედურები) მუნიციპალიტეტებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების მიზნით.

2019 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამართა საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის განათლების სფეროში არსებული პროგრამებისა და სიახლეების შესახებ. შერხვედრები გაიმართა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ამამლოს საჯარო სკოლაში (მონაწილეობდნენ ზემო ორზუმანლოსა და ქვემო ორზუმანლოს საჯარო სკოლის მოსწავლეებიც); ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განჯალას საჯარო სკოლაში (მონაწილეობდნენ კაბალის, უზუნთალას, ყარაჯალას, ფონას, არეშფერანის საჯარო სკოლების მოსწავლეები), ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ქ. ნინოწმინდის I საჯარო სკოლაში (მონაწილეობდნენ სოფელ განძის II საჯარო სკოლის, სოფელ სათხის III საჯარო სკოლის, სოფელ ფოკის საჯარო სკოლის მოსწავლეები). ასევე საქართველოს გაეროს ასოციაციისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრის“ (CCIIR) მხარდაჭერით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განახორციელა პროექტი „ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“, რომლის ფარგლებშიც თანატოლგანმანათლებლებმა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) 177 სოფელში ჩაატარეს 172 შეხვედრა და სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს (2752 ბენეფიციარს) მიაწოდეს ინფორმაცია უმაღლესი და პროფესიული განათლების, ევროპაში განათლების მიღების შესაძლებლობების, ასევე, 1+4 საშეღავათო პოლიტიკის შესახებ.

### **2.3 თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში**

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ხელი შეუწყო ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებთან შექმნილი საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობას. საბჭოების შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი თვითმმართველობების, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა შეხვედრები ქ. რუსთავში და ქ. თელავში, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უშუალო მონაწილეობით მსჯელობა გაიმართა არსებულ პრობლემურ საკითხებსა და მათი მოგვარების გზებზე, განისაზღვრა ადგილობრივი პრიორიტეტები.

გაგრძელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის, „1+4“ პროგრამის ბენეფიციარებისთვის, საჯარო უწყებებში სტაჟირების პროგრამის განხორციელება. 2019 წლის თებერვლის თვეში გამოცხადებული შესარჩევი კონკურსის შედეგად შეირჩა 62 სტაჟირი, რომლებმაც სტაჟირება გაიარა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობების ორგანოებში. აღნიშნული პროგრამა<sup>2</sup>, რომელიც სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით ხორციელდება 2017 წლიდან, დიდი პოპულარობით სარგებლობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებში, პროგრამის გავლის შემდეგ ახალგაზრდებმა დაიწყეს თავიანთი პროფესიული კარიერა არაქართულენოვან სკოლებში, ადგილობრივ თვითმმართველობებში და სხვა ინსტიტუტებში. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები. დღემდე სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 294 ახალგაზრდამ. 100-ზე მეტი კურსდამთავრებული საკუთარ სკოლაში დამხმარე მასწავლებლად დაბრუნდა და აქვს შესაძლებლობა აიმაღლოს პროფესიული კვალიფიკაცია. გარკვეული ნაწილი ადგილობრივ თვითმმართველობაში იწყებს კარიერას.

### 2.3.1 მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა

2019 წლის განმავლობაში გაგრძელდა მცირერიცხოვან ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების მხარდაჭერა. მათი ჩართულობის გასაძლიერებლად სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში ფუნქციონირებს მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფების პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და ღონისძიებებს. მიმდინარე წლის 12 ივნისს გაიმართა სახელმწიფო უწყებათაშორისი თემატური ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებმა, მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებმა რეგიონებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა. შეხვედრაზე განხილული იყო ბოშათა თემის მდგომარეობა საქართველოში, გამოწვევები და შესაძლებლობები, ასევე სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები და სამომავლო გეგმები.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აგრძელებს "სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" განხორციელებას, რაც მიზნად ისახავს ინკლუზიური სწავლებისათვის შესაბამისი და ბოშების მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას, საგანმანათლებლო სივრცეში ბოშათა ჩართულობის ხელშეწყობას. განხორციელებული აქტივობების შედეგად

<sup>2</sup> ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დღეის მდგომარეობით სწავლობს 300-მდე ბოშა მოზარდი.

საანგარიშო წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები, მომზადდა საკონფერენციო პრეზენტაციები, არაფორმალური განათლების გზით ხელი შეეწყო საგანმანათლებლო გარემოში ბოშების ჩართულობას. გაგრძელდა ბოშათა რეგისტრაციის პროცესი: მიმდინარე წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს მიერ დარეგისტრირდა 4 ბოშა მოქალაქე.

ასევე, წლის განმავლობაში გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული) მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრულ საჯარო სკოლებში.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში და პანკისის ხეობის განვითარების პროგრამის თანახმად შესაბამისმა უწყებებმა და სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განახორციელა რიგი პროგრამები და ღონისძიებები, რაც დაეფუძნა მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებს, ხეობის განვითარების პერსპექტივებს:

- ხეობაში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა 8 საფეხმავლო ტურისტული ბილიკის მარკირება;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის საელჩოსთან და სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან ერთად პანკისის ხეობის სოფლებში ყვარელწყალი, ბირკიანი, დუისი გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ხეობის უხუცესებთან და ქისტ ქალთა საბჭოს წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან; მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის და მისგან მომდინარე სარგებლის შესახებ;
- პანკისის ხეობის სოფლების - წინუბნის, ჯოყოლოს, ომალოს, ზემო, ქვემო და შუა ხალაწების, საკობიანოს, ქორეთის, ყვარელწყალსა და დუისში მოსახლეობასთან ორდღიანი საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა, სადაც განხილული იყო არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები;
- პანკისის ხეობაში მცხოვრები ქალებისთვის, მათი ეკონომიკური გამლიერების მიზნით განხორციელდა სასწავლო ტრენინგ კურსი „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი“, რომლის დასრულების შემდგომ გაეროს ქალთა ფონდიდან 2019 წელს პანკისის ხეობის 14 მონაწილიდან 11-მა საგრანტო დაფინანსება უკვე მიიღო ბიზნესის დასაწყებად;
- პანკისის ხეობის საჯარო სკოლების მასწავლებლები და დირექტორები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ბრიუსელში, სადაც შეხვედრები გამართეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და მიიღეს დეტალური ინფორმაცია ევროკავშირისა და ნატოს ისტორიასა და მიზნებზე, სტრუქტურაზე, საქმიანობაზე და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ.

მონაწილეები ასევე შეხვდნენ თავიანთ კოლეგებს და გაეცნენ ევროპულ საგანმანათლებლო სისტემას.

### 2.3.2 გენდერული მენისტრიმინგი

სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის კონტექსტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ქალთა როლის გაძლიერება და მათი მონაწილეობის მხარდაჭერა. 2019 წელს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მათ სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას, ინფორმირებულობის გაზრდას და ცნობიერების ამაღლებას ქალთა უფლებებზე (გენდერული თანასწორობა, ოჯახში ძალადობა, ტრეფიკინგი და ადრეული ქორწინება). გაგრძელდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის პროექტის „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისთვის“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ოჯახური ძალადობისა და ადრეული ქორწინების საკითხებზე 2017-2019 წლებში ჩატარდა 282 შეხვედრა 21 მუნიციპალიტეტის 196 სოფელში 7849 ბენეფიციარის ჩართულობით.

### 2.3.3 ინფორმაციასა და მედიაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განაგრძო საინფორმაციო გადაცემის ტრანსლირება ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ ამოქმედებულია შვიდენოვანი (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ვებ-პორტალი - [www.1tv.ge](http://www.1tv.ge), რომლის საშუალებით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს შესაბამის ენაზე მომზადებულ ინფორმაციას სახელმწიფოს მხარდაჭერით 2019 წელს გაგრძელდა სომხურენოვანი გაზეთის „ვრასტანი“-ს (102 ნომერი, ტირ. 3500) და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის „გურჯისტანი“-ს (98 ნომერი, ტირ. 2000) გამოცემა.

## **2.4 თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა**

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (გაზიფიკაცია, შიდაგზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაცია და სხვა).

რეგულარულად იმართება ფართომასშტაბიანი საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიები, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური, ფინანსური პროგრამებისა და განათლების სიახლეების შესახებ. 2018-2019 წლებში ჩატარდა 300-ზე მეტი შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. შეხვედრებზე მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ანტიდისკრიმინაცია, სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკა, ქალთა უფლებები, ოჯახში ძალადობა, ტრეფიკინგი და სხვა.

მიმდინარეობს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“ განხორციელება, რომლის



ფარგლებშიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს რეგიონებში მათთვის გასაგებ ენებზე მიეწოდებათ ინფორმაცია საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებისგან შემდგარმა მობილურმა ჯგუფმა, რომლებმაც გაიარეს სპეციალურად მათთვის დაგეგმილი თემატური სკოლა, 2017-2019 წლების განმავლობაში 39 მუნიციპალიტეტის 241 სოფელში ჩაატარეს 302 საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი, რომელშიც 6349 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, გავრცელდა შესაბამისი მასალები. პროექტი მხარდაჭერილია სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ.

## **2.5 ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა**

გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარებასა და პოპულარიზაციას. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და შემდგომი ინტეგრირების მიზნით მნიშვნელოვანია მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, პრიორიტეტის – „ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა“ – ფარგლებში გრძელდება კულტურის სფეროში მოღვაწე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების გამოფენების, გამოცემების, სპექტაკლების, საღამოების, სხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- სოფელ ბირკიანის საჯარო სკოლაში ჩატარდა ღია გაკვეთილი „ევროპა ჩემს გაკვეთილზე“;
- სამცხე-ჯავახეთის (ნინოწმინდა, ახალქალაქი), ქვემო ქართლის (მარნეული) და კახეთის რეგიონებიდან (პანკისის ხეობა) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა აკადემიაში მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოფის მოსწავლეებისათვის (12 მოსწავლე, 3 პედაგოგი) დაიგეგმა და განხორციელდა კულტურულ-შემეცნებითი ტური თბილისში;
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ქ. მარნეულსა და ქ. ახალქალაქში განხორციელდა კულტურულ-შემეცნებითი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოეწყო საბავშვო სივრცეები, გამოფენები, ჩატარდა კონცერტი;
- პროექტის „ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგის ფარგლებში“ ქ. ლაგოდეხსა და ქ. მარნეულში ჩატარდა ფოლკლორული და კლასიკური მუსიკის კონცერტები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ახალგაზრდებმა;
- გაიმართა „1+4 სტაჟირების პროგრამის“ კვლევის პრეზენტაცია;

- განხორციელდა პროექტის "ეთნიკურ უმცირესობათა შორის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა" შედეგების პრეზენტაცია;
- პანკისის ხეობის და ქვემო ქართლის რეგიონის ახალგაზრდებთან გაიმართა შეხვედრა სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ;
- გაიმართა პროექტის „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“ შემაჯამებელი ღონისძიება;
- ქ. ახმეტაში პანკისის ხეობის მკვიდრის, ნონა ხანგომვილის წიგნი-ალბომის „პანკისი და ქისტები“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო“ ფარგლებში გამოიცა. პროექტის მიზანია ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლების კულტურის პოპულარიზაცია;
- კულტურული მრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე სუბიშვილების ნაციონალურმა ბალეტმა წარმოადგინა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ცეკვები;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა პროექტის ”გაიცანი მრავალფეროვანი საქართველო“-ს ფარგლებში მოამზადა ვიდეორგოლების სერია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი წარმატებული, ნიჭიერი და საინტერესო თანამოქალაქეების გაცნობის მიზნით. ვიდეო-რგოლები განთავსდება სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე და გაიმართა მათი პრეზენტაცია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან;
- საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების მეცხრე კლასის მოსწავლეებისთვის, კონკურსი სახელწოდებით „მე ვწერ ქართულად“ ჩატარდა, რომლის მიზანიც სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენაზე წერიითი კომპეტენციების განვითარება და წახალისება იყო. გამოვლინდა 3 გამარჯვებული მათ სიგელები და საჩუქრები გადაეცათ. ღონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა;
- ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოცხადებული ფოტო და მედიაკონკურსში სახელმწიფოებთან „ჩვენი მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა“ გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ და მათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

## 2.6 სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიის საქმიანობა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით აქტიურ საქმიანობას განაგრძობდა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია. წლის განმავლობაში ჩატარდა არაერთი შეხვედრა, მათ შორის სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ უმცირესობათა საბჭოს წარედგინა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2019 წლის სამოქმედო გეგმა.

გაიმართა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში არსებული თემატური ჯგუფის „მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა“ შეხვედრა. სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ მომზადდა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის“ შუალედური შეფასების დოკუმენტი, რომელიც წარედგინა უწყებათაშორის კომისიას.

## **2.7 თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებთან**

2019 წელს საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმების ფარგლებში ახორციელებდა ადგილობრივ ვალდებულებების შესრულებას ადამიანის უფლებათა დაცვის, კერძოდ, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით. აქტიური თანამშრომლობა წარმართა საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროპის საბჭო, ეუთო, გაერო), ასევე ევროკავშირის მონიტორინგის მექანიზმების ფარგლებში.

წარმართა ნაყოფიერი, შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან, ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან/მოსახლეობასთან. რეგულარულ რეჟიმში იმართებოდა შეხვედრები, კონსულტაციები, მათ შორის რეგიონებში არსებული საჭიროებების, გამოწვევებისა და მათი მოგვარების გზების თაობაზე.

წლის განმავლობაში, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართვის, სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე მათი ინფორმირებულობის/ცნობიერების ამაღლების, ასევე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერა ხორციელდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.